

თეატრი

№ 43

საყოველ-კვირბო სალიტერატურო და სამხატვრო გაზეთი.

№ 43

26 ლვინოზ(სთვე)

გაგონიყვამა ყოველ კვირბოპით

1886 წალსა.

ფასი გაზეთი „თეატრი“-სა ერთის წლით..... 5 მან. ~~სასყუარ წლით.... 3 მან.~~
სხვა ვადით ხელის მოწერა არ მიიღება.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში რედაქც. კონტორაში ან წყნისკუთხეულ ქადაგას. ფოთში ბ-ნი ბესარიონ კალანდაქისას.

ცალკე ნუმერი გაზ. „თეატრი“-სა ღირს 15 კაპ.

ისუიდება: თბილ ისში: ხარკვიანის წიგნის მალაზიაში, შვედროვის სააგენტო კონტორაში, ალისანოვის პაპი-როზის მალაზიაში, ხიდის ყურთან. ქუთაისში კილაძეთ წიგნის მალაზიაში და ბათუმში პარიკმანერ არსენასთან.

გამოგზავნილი სტატიები, კორრესპონდენციები, ლექსები და სხვა წერილი წერილები, თუ რედაქციამ საჭიროდ დაინახა შესწორდებიან.
რედაქცია უპირჩილესად სთხოვს ბ-ნი წერილების ავტორი სტატიები გარჩევით იუვენ დაწერილნი.

გამოგზავნილი ხელთ-ნაწერები რედაქციაში ინახება მხოლოდ ერთს თვეს. სტატიების უკან გაგზავნას რედაქცია არ კის-რულობს.
ყოველ წერილში აუცილებლად მოხსენებული უნდა იყოს ავტორის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

გარეშე მცხოვრებობათვის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію газ. „ТЕАТРЪ“ Галерея быв. Артируни № 110.

ქართული თეატრი

დღეს ქართული დრამ. დასისაგან წარმოდგე-
ნილი იქნება:

I

ხ ა თ ა ბ ა ლ ა

კომედია 4 მოქმედ. და 6 სურათად გაბრ. სუნდუ-კიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქბ-ნნი საფარ.-აბაშიძისა, ნ. გაბ-ცაგარლისა, მ. ლეონიძისა ბ-ნნი აბაშიძემე, აწუ-რელი, მესხიევი, მქსიამიძე და სხვანი.
დასაწყისი სწორეთ 7¹/₂ საათზე.

ქართული თეატრი

წარსულს კვირას ქართულ დრამ. საზოგადოების დასისაგან წარმოდგენილი იყო 3 მოქმედებიანი კო-

მედია კნ. ბარბარე ჯორჯაძისა „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ და 1 მოქმედ. ვოდვეილი „სუსტი მხარე.“ „რას ვეძებდი და რა ვპოვე“ როგორც კომედია, როგორც სარკე საზოგადოებისა, მეტად სუსტი და მკრთალია, თუმცა ალაგ-ალაგ ეტყობა ავტორის სურვილი საზოგადო სატკივარის, დღიურის ვა-რამის შეგებისა. რაც უნდა იყვეს პატივცემულ კნ. ბარბარე ჯორჯაძისას ეტყობა, რომ თვალის, ყურის და კალამიც უჭრის... ეს კი სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენს უსუსურს დრამატულ მწერ-ლობის ასპარეზზე, მით უმეტეს რომ დრამატურლთ ამ შემთხვევაში ქართველი ქალი გამოდის. უმთავრეს როლებს ამ პიესაში ასრულებდენ ივ. ცაგარელი, ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა და მ. საფარ-აბაში-ძისა.

ივ. ცაგარელს საპასუხ - გეზო როლებისათვის არც ღონე და არც გამოცდილება მოსდევს. ანეტიკა

როლში ვ. აბაშიძე ჩვეულებრივად საუცხოვო რამ იყო, მ. საფარ.-აბაშიძისამ თალალას უფერული როლი ჩინებულად წარმოადგინა და ერთს ადგილას თავის ამხანაგს ნ. გაბ-ცავარლისას დიდი სამსახური გაუწია, როცა ამ უკანასკნელმა «ასსანა» «თა-ლაღაღა» მონააღლა... გაბ-ცავარლისა მაქთაღას როლს კარგათ თამაშობდა, მაგრამ როლი რომ უკეთ სკოდ-ნოდა და წამ-და-უწუმ „რა ჭქეან, რა ჭქეან“ რომ არ ესმარა, უფრო დიდს შთაბეჭდილობას იქ-ნიებდა მაყურებლებზე. ერთი შენიშვნა კივე: სად გაუგონია გაბუნ-ცავარლისას, რომ სცენაზე ადამიანს თვალში აფურთხებდენ?.. ასეთი „რეალიზმი“ ცოტა არ იყოს სამარცხენოა... აქ უადგილო არ იქნება ერთი გარე-მოება აღვნიშნოთ: კნ. ბარბარე ჯორჯაძის კომედი-აში გამოყვანილი მაქანკალი მაქთაღა ძრიელ წაჭავს ავ-ცავარლის ხსენებას, ასე რომ ზოგს დიდი დე-ები ჰგონია... ალაგ-ალაგ რომ დაეკვირდეთ, ფრანგე-ბიც, სიტყვებიც და ტირილებიც, კი უჭევანან ერთმანეთს, მაგალითად ის ადგილი, სადაც მაქთაღა ამბობს: რ-მ-დენი გონჯი გამისაღებიაო და სხვა... თუმცა იერება არ ლაღატობს „რას ვეძებდი და რა ვბოვე“ უფრო აღ-რე არის დაწერილი, ვიდრე „ხანუმა“... ვ. მელი-ქივისას თივისი როლი რომ უფრო გამოარკვევით გამო-ეთქვა უკეთესი და სასიამოვნოც იქნებოდა. რაც შეეხება იმის, რასაც „ივერიის“ რეცენზენტი ამბობს, რატომ გონჯად და ბრუციანად არ ჰქონდა 'სახე გაცე-თებულო. ეს ჩვენის ფიქრით შემცდარი აზრია. სცენა ემტერება ყოველ გვარ გარეგნულ სიგონჯეს, სიმანინ-ჯეს და მართალიც არის. არამც თუ ხცენაზე, არა-მედ კერძო ცხოვრებაშიაც კი გვეზარება ბრმების და და-სახინებულების ნახვა. მაქსიმედ მოურაუის როლში და აწყურელი გლეხი სოლის როლში კარგები იყვნენ. ჩვენ ბ-ნი აწყურელი პირველად ენახეთ გლეხის რო-ში და გვეშინოდა იმის მაგიერად, მაგრამ შიში უსა-ფუძვლო გამოდგა.

ვოდველი „სუსტი მხარე“ მეტად მხარულად წარმოადგინეს. დივერტისმენტში ვ. მესხიევმა წაიკით-ხა ეხტანგ ორბელიანის ლექსი «გელათი» და პირველ შემთხვევისათვის კარგად იყო. სასურველი იქნება, რომ ვ. მესხიევმა მოამზადოს რამდენიმე ლექსები სცენისა-თვის, მით უფრო რომ ჩვენ ვერ არც ერთი ხერხი-ანი და არც უხერხიო ლექსების მკითხველი არა გვეყვს; მესხიევს კი, როგორც წარსულს კვირას შევატყვეთ, ლექსების კითხვა ადვილად შეუძლიან, რადგან საუც-ხოვო მელიოდიური ხმა აქვს, ნ. გაბუნ-ცავარლის ს. მღერა „ქმუნის მახვილი“ მეტად სუსტი იყო-ამის

მიზეზი თვითონ პატივცემულ არტისტი-ქალს ჩვენზე უკეთ უნდა მოეხსენებოდეს.

წარსულს ოთხ მბაბთს ქართ. დასმა წარმოადგი-ნა ოთხ მოქმედებიანი ღრამა „ცოლი-მეუღლე“ ამ პიესაში იხატება ნამდვილი ცხოვრება, ყოველივე მი-სის ავ-კარგიანობით, ყოველივე მასის პრობით და პაეზით. უმთავრესი დედა-აზრი პიესისა იხატება ორ სიტყვაში, რომელსაც ამბობს უკანასკნელ სცენაში გიორგი ბედუქურაძე: „მე გამტყუნებ შენს მშობლებს, შენს აღმზრდელებს!“ გარყვნილ, მედიდურობით ვაბე-რილ, გაკოტრებულ კნ. ბარბარე მხარაძისას ქალი „კნიაჟა ნინო“, გაფუჭებული დედის აღრზდით და დედის შესაფერ საზოგადოებით, ცოლად მიჰყვება პა-ტიოსანს, მაგრამ სუსტ ხასიათის მუშაკს მამწვილ-კაცს და რა თქმა უნდა პირველი მეუღლეობას ვერ უწევს თავის ქმარს, რომელიც „ქრთამების აღებას არ ჰკა-დრულობს“ და ბედნიერად დაწყებული ცოლ-ქმრო-ბა მეტად უხედურად თავდება... ჩვეულებრივი ამბა-ვია ამ ჩვენს მატერიალურ, პრაქტულ დროში!...

საგანგებოდ შესრულებს თავისი როლები ვ. მე-ხიევმა და საფ.-აბაშიძისამ. პირველმა სუსტი ულო-ნო, პატიოსანი ყმაწვილი კაცის როლი და მეო-რემ, — ქარიანი, გაფუჭებული, უგულო, ბაღე-ბის და „ვეწერების“ მოყვარული ქალის როლი. ორივეს ეტყობოდათ როლებს დაჰკვირვება და გო-ნების თვალთ გაზომვა როლების ხასიათებისა, თუმცა ბ. მესხიევისაგან უფრო მეტს მოველოდით მე-ტად ხელოვნურად თამაშობდენ აგრეთვე ნ. გაბუნ-ცავარლისა და ვ. აბაშიძე; ორივენი ჩვეულებრივის სიმართლით, ერთ-ზომიერობით და ადვილად არდგე-ნდენ თავიანთ როლებს, თუმცა გაბ-ცავარლისა როლის ცოდნაში მეტად კოჰლობდა და ალაგ-ალაგ ხასიათის მართლ წარმოდგენას ძრიელ შორდებოდა. მაგრამ დაუნის გვირგვინი ამ საღამოს ღირსეულად და-ინება მ. ლეონიძისამ მარიამის, გიორგის დე-დის როლში. — დიდის დრამატიზმით და მწვავის გრძობებით შესრულა პატივცემულმა არტის-ტი-ქალმა შვილთან გამოთხოვების სცენა. მთე-ლი თეატრი ააშფოთა, ყველა, დიდიც პატარაც აატირა. ასეთი წუთები სცენაზე იშვიათი მოვლენაა და ბედნი-რია ის არტისტი, ვინც მაყურებლებს გამოუწევს ცრე-მლებს თავის გრძობიერის თამაშობით!.. კ. მაქსიმე-დემ თავისი როლი უფრო ცუდათ ითამაშა, ვიდრე ჩვენ მოველოდით. საზოგადოდ პიესამ საგანგებოდ ჩაიარა და ღმერთმა ჰქნას, რომ ასე განაგრძდეს ჩვენი დასის საქმე-ხალხი კი ძალიან ნაკლებად დაესწრო პირველ წარმო-

დგენას და მეტადრე მეორე: კასსაში სულ შეიდ
თუმან ნახევარი შემოსულა; კომიტეტს კი ყოველი
წარმოდგენა არა ცხრა-ათ თუმანზე ნაკლებ უჯღე-
ბა...

ვალეიო—ა.

რუსული თეატრი

წარსულს კვირას რუსულ თეატრში წარმოად-
გინეს ოპერა „ვილჰელმ ტელი“ ეს ჩინებული ოპერა
საკმაოდ კარგათ ითამაშეს. კარგი იყვნენ ბ-ნი ლიუ-
ბიმოვი და ქ-ბ-ნი ცეზარ—ინსაროვისა. ორშაბათს
წარმოდგენილი იყო „დემონი“. ეს ოპერა საზოგა-
დოთ კარგათ არ მიღის, ხალხი სრულგვით არ იყო: ერ-
თი ათიოდე კაცი იჯდა სკამებში და დანარჩენი გა-
ლერეიაში. (რიგოლეტში) თავი იჩინა ახალ-გაზდა არ-
ტისტმა ბ-ნმა ლიუბიმოვმა. სიმღერას გარდა საუცხოვო
იყო არტისტის ხელოვნური თამაშობა დრამატიულ
ადგილებში, მშვენიერი გრიმი და გარეგნობა არტის-
ტისა დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებლე-
ბზე.

კვირიდან კვირამდე

✕ ამ თვის 13 პეტერბურღში დიდი მთავარის
მიხედონი კოლოზის-ძის დღეობაზე მათხვე სასახლეში
სხვათა შორის დასწრებიან ბევრი კავკასის მხედართანი.
ნადიმის დროს სხვათა შორის დაულოვეიათ სადღეგრძელო
ჩვენი ქვეყნისათვის და ბოლოს ქართულ ენაზე უმ-
ღერნაით ჩვენი განთქმული „მსჯელ უსმაიქ“

✕ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-
ბას განზრახვა აქვს ბათუმის სკოლა სოფლად გადა-
იტანოს, აქარაში ან ქობულეთშიო.

ბაირონიდამ.

ოჰ! თუ დადეს, მშვენიერსა სიზმარში გართუდს,
მომჩვენების ანთუბული შენგან ტრფიალი,
ნუ უკვე მართლად არ შეპინდობ ამ სიამეს სრულს
და ერთს წუთს სიზმარს შემანანებს მაგ რისხვისაღი?

სომ სიყვარულს შენსას გზოვებ მართა მე სიზმრად,
ის შესაძლოა ცხოვრებაში მხოლოდ ოცნებით,
და რას მოაწვეს-მის ცვლილება გაჭკრება მსწრაფლად,
რად მჩხება მე?—ოხვრა, კენკსა, ცრემლი გოდებით...

მსწრაფლ მიმადინე, დამისუტე ორთავ თვალები,
სული დაშატე ტკბილ-სიზმრებით, შემდეგ საჯაოს...
ოჰ, თუ ემსჯავს იმ დამისას ესე სიზმრება,
ბედნიერებას რა-რის უძღვის იგი სულს მართლად!

ნუ, ნუ შეარყე მოჭეფრებითა წაბთა სასტავად,
ნუ დაწაბდება შედრფის თვალს ჩემის ბედისას,
დადესც სიზმრად კვადნიერობ შენთან ამ რავად,
ის სასუიდი მაქვს, ხაჩკსა ვიხდი სატახტეკისას!

დე, მან მახუჭოს ეგ დამადი მინაზეუელი,
ნუ ფეჭრებ, მისთვის ქვენიერი არ მქონდეს ტანჯვა,
იმ წუთიერი ნეტარების ნაცვლად თან დამდეგს
განჯვიძების ჟამს საზარელი თავით სრული დასჯა.
სვანი.

ს. ახალ-გაზდა. 1886 წ. 21 სექტემბერს.

თეატრის კვირა

✕ ოსურგეთიდან გეწერენ, რომ ამ დღეებში
ქ ყოფილა და კონცერტი გაუმართავს ჩვენს გამო-
ჩენილს მომღერალ-არტისტს ბ-ნს ფილ. ქორიძეს თა-
ვისი პატარა დასითა. საზოგადოება, ოსურგეთისთანა
პატარა ქალაქის შეთავსებით, საკმაოდ დაწრებია და
ძლიერ კმაყოფილიც დაჩენილა ბ. ქორიძისა.

✕ იქილამვე გვატყობინებენ, რომ ახალციხიდან
ბათუმამდი გაჰყავთ დიდი გაა-ტყევილი, რომელსე-
დაც ეს ორი თვეა მულამ დღე ორი ათასი სალდათი
მუშაობსო. გზა იწყება ახალციხეს, გადიარს სურების
ღარღოს გურიაში, მერვე მოიმართება აქარის
ქელზე, გადიარს სოფ. ხანას და იქიდან ბათუმ-
ში მოვაო.

ხალსური პოეზია

(ლექსნი, ანდაზები და გამოცანები, შერეობ. ვ-საგან.)

ა. გუ⁴იაში შეკრებილი.

I.

დროსა შევესწარ ასკოსა, გულს ტუცხლი გამაღვას;
ლინკილოდ სთლიან იაგუნდს, ბრილიანტსა და ლაღებსა,
აღმასით ჭკაწმენ კირებსა, აკრავენ ოქროს ნაღებსა,
ბეღაურს ცხენს კი კურტანს სდგმენ, სტემენ... ვინ შეიბ-
რაღებსა!?

II.

უძვირფასესად მივიღო, თუმცა მიბოძო თმია,
მალმალ დახუნდო, ვაკოცო, ხშირად ვიძახო „კაია!“
ტანსე სუღარი ჩამატვი, გულზე დამადეო ჭკაია,
და ამავე წაშში მოკალი — თუ მიჭნურბი გუგს სსვია!..

III.

ზღვიდან ამოსული — ცვარმა დაღრჩო.

კატა რომ თეეს დანახავს — გბილები ატეივება.

შენსას მოკალ, მისრია, სიცილი და „ოჭოჭოი“,
ჩემსას მოხვალთ, მეშინა, ვაამე, რა ვენა ოპოპო!

ბ. იმერეთში შეკრებილი.

მე ქალი მძულს ნაგრუნალი, კურტუმ-ბარკალ დატეუჭილი,
კაცი სხვისას მოღსენილი, თავის სახლში დაღრუჭილი.

ცოლეურსა მივიღოდი, მიკითხიდი ატამსაო,
აქთობას მოვიღოდი, მოვიკრები ნათასაო!

ღამაზო და მშენიერო, ღვინის ფერო მმინარე,
მე რომ შენკენ წამოკული თავი მოიმძინარე.

აფრინდი შავო მერცხლო, დაჭეუ არაკვის პირსაო.
ნეტავ რა გაუჭირდება შენი დედამისი შვილსაო!

მინდორ-მინდორ დავიღოდი, აღაგ-ხლაგ ჭოჭეი იყო;
მე საწვალმა რა კიცოდი, თუ ის გოგო კოჭლი იყო!

სიღარიბე და ობლობა, ორივე გამომივლას.
სჭობს სიღარიბე ობლობას, ობლობა მტრათ მწვლას.

(შეკრებილი ნაშალია ვაბ-ცაგარლისაგან.)

მანგლისი რომ ააშენეს, წუარო ადინეს მიღითა;
სასახლეები დამართეს, თეთრად დალესეს კირითა.

იქ რომ ერთი ქალი იყო ხელებს იღებდა ინიოთა,
თრიალეთადგან მეცხვარე უკვლს ეზიდება პირითა.

კამბივით ლაფში წვეხარ, გვერდზედ გაცნია ტალახა;
თავი მოკალულ ქვას გიგავს, შენ რაღათ გინდა დაღაჭი.

მალღა-მალღა დაფურინამდი, დაკვირდი ქორიეთა,
მუძუ-მუძუდი დაკინასე, თეთრი გქონდა ბროლიეთა.

ბიჭო! რას გადამივიდე, რას ამიტყე შარბი.
დღედა-ღამე რომ გიუბელო, მინც არ დავიღალბი,
ისე გაგინდი საქმესა, კვლარ გაიგნო ვარბი.

ურემს თავი დაუდე, დაუდე და დამეშალა,
გოგო, იქით გამეცაღე, საღერღელი ამეშალა.

შეკრებილი ავქსენტი. ცაგარლისაგან.

ღრამატიული საზოგადოების

კომიტეტს

რადგანაც სოფ. ქვემო-ქალაში შემდგარია პატარა
ღრამატიული დასი სკოლის შეგირდებისაგან და სცე-
ნის მოყვარე ადგილობრივი თავადიშვილებისაგან და
რადგანაც არა ერთხელ და ათჯერ გავვიმართამს წა-
რმოღგენები სკოლის დარბაზში, ამისათვის უმორჩი-
ლესად ეთხოვე დრამ. კომიტეტს რამდენიმე სუბსტი კო-
მედიები გვათხოვონ, რადგანაც რაც ხელში გვქონდა მაგ.
— «ცოლი თუ გინდა ეს არის», «კატა აწონა» «ტივით
მოგზაურობა», «ცოლები დაეკარგეთ», «ბაიყუმი», «მა-
თიკო» და «ძუნწი», გვითამაშნია, უნდა მოგახსენოთ რომ
ადგილობრივი საზოგადოება თანაუგრძნობს ჩვენგან
გამართულ წარმოღგენებს. წარმოღგენებიდან აღებუ-
ბული ფულიდან ჩვენ განვიზარხეთ ქართული წიგ-
ნების ბიბლიოტეკა გავხსნათ. სა მთუმნამდე კიდევ გვაქვს
ხელში წინანდელ წარმოღგენებიდან აღებული. —
იმედი გვაქვს, კომიტეტს ჩასდგება ჩვენ მდგომარე-
ობაში და გამოგვიგზავნის დროებით შემდეგ კომე-
დიებს და ეოდეელებს: „ცელქები, ბნელ-ოთახში,
დატრიალდა ჯარა, ბუტიაობა, ანტონოვის კომედი-
ები, ხათაბალა, თ. რ. ერისთავის ხელთ ნაწერ კო-
მედიებს და ეოდეელებს, ზოგს გადავსწერთ და ზოგს
წარმოღგენის უმაღლე მოგართმევთ.

ქვემო-ჭალის სკოლის მასწავლებელი ნიკო ლეონიძე.

ანუ დატეხულს ესრედ მასხვს სხვაც მივაყოლოთ და გუნდოთ იგი, თუ პირველი არ გამოგვადგას. აბა ვითუქროთ... დამატად... თქვენს სიამარვეებზედ ჩვენ დიდის აზრით ერთმანეთში ნაძლეუსაც და ვალებთ... კარგად მივაკენ: მას უცნაურობა, ცხარედ იბრძოლო და ამ ბრძოლის და სიცხარის დროს რომ მოგწურო-

დებათ, ის სომ მოითხოვს სასძელს რასმე... მეც მზად ვიქნები და მივაწოდებ სახსრს ჭიჭის... ოღონდ ამ ჭიჭის რაგორმე ტუნი დააკაროს... მორჩა, გათავდა. ჩვენი განზრახვა შესრულდება, თუნდ შენი დაშნა შესამით ნამზადი აივადინოს.— ჩემად, მოიცა...

(შემოდის დედოფალი.)

რას ამბავია, დედოფალო, ვინა ხმაურობს?

დედოფალი.

ერთი მეორეს მწუხარება ფეხ-და-ფეხ მოსდევს: ლაერტი, შენი და, ოფელია, წყალში დაიდრჩო.

ლაერტი.

როგორ დაიდრჩო?... სადა, მერე?

დედოფალი.

მდინარის პირად

ერთი ტირიფი სდგას მერთალ ფოთოლთ წყალში შინარე. იქ მისუღიყო ოფელია და მოეგროვა ჭინჭარ-ყაყაჩო, გულისაბა, ჭრული ბალახი, რომელსაც მწეუმნი ენა-მეტნი ცრუდს სახელს სდებენ და ჩვენნი მორცხენი სოფლის-ქაღნი უხმობენ ჭიჭის. დაწუნავს მათგან კვირგებები სხვა-და-სხვა ფერი, ასულა ხეხედ, იქ ნდომია მათ დაკიდება, მაგრამ უცნაოდ მოტეხილა ბედგარული ხის შტო და ოფელიაც ვეჯილებით თან-ჩაჭყოლია. წყალზედ სამოსი გარდაშლია, არ ჩაუძირავს და სირინოზის მზგავსად იგი ძველსა სიმღერებს, თავის ბედშავობის უგრძობელი, ამობდა თურმე— იგი ჭკავდაო წყალში აღზდდეს მდინარის შვილს; მაგრამ როდესაც გაუღენთია ტანთ-სამკაული, საცოდავს უცბად შესწვევტია ტუბილი გაღობა და შლამიანს ფსკერს მიუხიდავს უსულო კამი.

ლაერტი.

ნუ თუ დაიდრჩო და საშველი არა არის-რა.

დედოფალი.

მკვლარია იგი.

ლაერტი.

ოფელია, წყალმა გიმისხვერძლა, — რას საჭიროა კიდევ ჩემი წყალ-წყალა ცრემლი?! მაგრამ ბუნება ეს ყოფილა და ჩვეულებას იგი თავისას ვერ გადავა. დეე, გამკიცხონ! რაკი დავაფრქვევ ამ ცრემლთ, კიდევ გავვაუკაცდებო. მშვიდობით, მეფევე; თავლის წყალს რომ არ გაუნელა, გულით სახმილებერ მწკავსა სიტყუებს ამოკანთხვედი.

(გაღის.)

ხელმწიფე.

გაპვევით, გერტრუდავ, ძლივს რაკვარ ცდით დავაშოშმინე და ვშიშობ კიდევ, ამ ამბავმა არ ააღელვოს.

მოქმედება V

სურათი I

(სასაფლაო.)

(შემოდის ორი მესაფლავე ბარებით, ნიჩბებით და სხვ.)

პირველი მესაფლავე.

მას იმ ქალს ქრისტიანულად დამარხებენ? თითონვე რომ მოუკლავს თავი?!

მეორე მესაფლავე.

გუებნები, ქრისტიანულად მეთქი. ნულარ უეურებ, თსარეუ საფლავი. სელმწიფის მოხელემ ავი შეამოწმა და სთქვა, ქრისტიანულად უნდა დაიმარხოს.

პირველი მესაფლავე.

რაკიცი, რაკიცი! თავის უნებურად რომ დამდრჩავლიყო, მასინ სხვა აყო.

მეორე მესაფლავე.

მანც ატრე გამოიყვანეს.

პირველი მესაფლავე.

საიდან, მერე! ხომ თითონ მივიდა წყალთან! აი გამიგონე: თუ მე განგებ თავს ვიდრჩობ, ამას მოქმედება ჭკვიან და ყოველ მოქმედებაში სამი ნაწილია: ესე იგი: მოქმედება, საქმობა და შესრულება, მასსადამე, განგებ დაუდრჩია თავი.

მეორე მესაფლავე.

სხლა, ძმობილო ერთი ჩემიც გაიგონე,

პირველი მესაფლავე.

დამაცადე. ვთქვით, აქ წყალია—კარგი, აქ კაცი სდ-
გას, ძალიან კარგი. თუ კაცი მიდის ამ წყალთან და,
უნდა თუ არ უნდა, თავს იღრჩობს, სჩანს თითონვე მი-
დის. ყური დამიგდე: და თუ წყალი მიდის და აღრჩობს,
მაშინ, თითონ არ იღრჩევა. მაშ კინც თავს არ მოიგ-
ლავს,—არც სიცოცხლეს მოისპობს.

მეორე მესაფლავე.

განა კანონი კერვა?

პირველი მესაფლავე.

კერვა, მაშ. მოხლეკების კანონი კერვა.

მეორე მესაფლავე.

იცი, რა გითხრა, თავადის ქალი რომ არ ყოფი-
ლიყო, არც ქრისტიანულად დამარხავდნენ. მართალი თუ
თუ გინდა, ეს არის.

პირველი მესაფლავე.

მეც მანდა ვარ. ეგ მაწუხებს, რომ დიდატებს სა-
აქოში თავის დაღრჩობასა და ჩამოღრჩობაშიც კი მეტი
უფლება ჰქონიათ, სანამ ჩვენისთანა საწყად ხალხსა. აბა
ერთი ბარს ხელი გაკრათ.—უგულაზოდ დიდი თავადები
მებაღეები, მიწის-მოსრელები და მესაფლავეები არიან,
ამათ ადამის ხელაბა უჭირავთ.

მეორე მესაფლავე.

მერე ადამი თავადი იყო?

პირველი მესაფლავე.

თავდაპირველად ის განხდა და თავადი არ იქნებო-
და? თავადიც ის იყო, მთაც იმას ეჭირა ხელში და ბა-
რიც.

მეორე მესაფლავე.

სტეუი.

პირველი მესაფლავე.

ურჯულა ხომ არა ხარ. საღმთო წერილი არ იცი?
იქ სწერია, ადამი მიწას სთხრიდა. რით გასთხრი-
და, თუ ბარი ხელში არა სჭერდა? კიდევ ერთს რასმე
გკითხავ. თუ რიგთან ხასხუსს ვერ მეტევი, მაშინ გატე-
ვი, რომ...

მეორე მესაფლავე.

სთქვი.

პირველი მესაფლავე.

ვინ აშენებს კალატოზუნდაც, მენავეუნდაც და დურ-
გალუნდაც უფრო მაგარ შენობას.

მეორე მესაფლავე.

სადრჩობლას დამდგმელი. ეს შენობა ათასს თავის
მდგმურს ამოიჭამს.

პირველი მესაფლავე.

ეგ კარგად მოგივიდა, ბარაქა! მართლაც რომ სა-
დრჩობლად კარგი რამ არის. მაგრამ ვისთვის არის კა-
რგი? იმისთვის, ვინც ცუდს ჩადის; და აი შენც ცუდს
ჩადისარ, რომ ამბობ სადრჩობლად საყდარუნდაც მაგარია. ა
მაშ სადრჩობლად შენთვისაც კარგი იქნება. ჯერ იფიქრე
სოღმე და ისე სთქვი.

მეორე მესაფლავე.

შენს მეითხამ კალატოზუნდაც, მენავეუნდაც და დურ-
გალუნდაც უფრო მაგარ შენობას ვინ აშენებსო?

პირველი მესაფლავე.

ჰო, მითხარი და გაათავე.

მეორე მესაფლავე.

ესლავ ბეტივი.

პირველი მესაფლავე.

აბა?

მეორე მესაფლავე.

ვერა, ვერ ბეტივი.

(შემოდინ ჰა მ ლ ე ტ ი და ჰ ო რ ა ც ი ო.)

პირველი მესაფლავე.

ფიქრით თავსნუ ისეთქ; შენს ზანძაც ვინც ცემით
ნაბიჯს ვერ მოამატებინებ, და თუ კვლავ ეგვე ვითხოს
ვინმე, უნასუნე,—მესაფლავეთქო. ამისგან გაკეთებული სა-
ხლი მეორედ-მოსვლამდისა სძლებს. წადი ერთი იო-
განთან და შატარს ეგლის ჩასაკოვლოზინებულა მომიტანე.

(გადის მეორე მესაფლავე.)

პირველი მესაფლავე

(სოხრის და მღერის.)

„ჩემს ბიჭობას გოგოებსა

„გულაინად დაკვედიო,

„კოთამაშობდი, მისარდა;

„კამ რა ცუდს დროს დაუბერდიო.“

ჰამლეტი.

ნუ თუ ამის გრძნობა ანა აქვს, რას ჩადის: მღერის საფლავის თსრის დროს?

ჰორაციო.

ჩვეულებს კაცს გულცივად გარდაქმნის და ყველაფერს გაუადვილებს.

ჰამლეტი.

ეგ მართალია. ვინც კი სულს ნაკლებად ამუშავებს, მის გრძნობა უფრო მღვიმარე აქვს.

პირველი მესაფლავე.

„უძლეურებამ და სიბერემ
კლანჭი მაგრად ჩამჭიდაო;
„უცხო მსარეს გადამტყორცნა,
„უცნობ სეხედ დამეიდაო.“

(ამოგდებს ადამიანის თავის-ქალას.)

ჰამლეტი.

ამ თავს ერთხელ შირში ენა სდებია და სიმღერაც შესძლებია. როგორ ისერის ეს ბრძოლა მიწაზე, თითქმის შირველ კაცის-მეგულის კანის თავი იყოსო. ვინ იცის, იქნება ეს თავი ზოლიტიკოსის თავი იყო და ეს ვიღა კი როგორ უმართებულად ეწერება! იქნება თავის დროზედ იგი ღმერთთანაც გაბჭობას არ კრიდებოდან. არა, ჰორაციო?

ჰორაციო.

შესაძლებელია, ბატონო ჩემო.

ჰამლეტი.

ანუ ერთ-ერთ კარის-კაცისა, რომელიც ყოველდღე ამბობდა: „დილა-მშვიდობისა, სელმწიფეო ჩემო!“ „როგორა ბრძანდებით, ბატონო ჩემო?“ იქნება ეს და ეს დიდებული იყო და ამა და ამ დიდებულის ცხენს აჭებდა, როცა სურვილი მოუვლიდა, სანუჭრად მიეღო. ესენ სომ შესაძლებელია, ჰორაციო?

ჰორაციო.

რატომ!

ჰამლეტი.

და ესაა კი ბატონ მატლების უღუფთა, კან-შემხმარი, მესაფლავეს ნიშის სასროლ-საგდებელი. აი, ამისა ჰქვიან გარდაცვლა, რომ თვალი გვიტრიადეს და დანახვა შეგუძლია. განა ამ ძეგლების ჰატონი თავის ძეგლებს

იმისთვის უვლიდა, რომ ამ უმზგავსებს გოჭკობივით ეთამაშებინათ! მუ თითონ ძეგლები მტკიავა, ამას რომ ვიფიქრობ.

პირველი მესაფლავე.

(მღერის.)

„ამისთანა ძვირფას სტუმრის
„დასასველრად; თურმე, კმარა,
„თოხ-ნიხაბი, ბნელი ორმე,
„ფიცრის კუბო და სუდარა.“

(კიდევ თავის-ქალას ამოგდებს.)

აი კიდევ... იქნება ეს თავი რომელიმე ვეჭვილის თავი იყო. სად არის ესაა ამის კილოს.. ჯამობმა, სიტყვების რახა-რუხი, ამის შეკამათება, სამართალზედ ლაპარაკი და ათასი სხვა ემძეობა? რად აძლეეს ამ წუწკს ნებას, რომ მის განზნებთ სავსე თავს ტალახიანი ნიხბით ისერის და მოქმედებთ შეურაცხებისათვის დავას არ აუტყვის? ან იქნება ეს გაუბატონი თავის დროში მამულების-მედიველი იყო და მისდევდა განზნის მუსლებს, ვაღდებულობის ქალაღდებს, გარდასახადებს, თავდებებს, წამოდავებებს... მამ ეს არის გარდასახადი იმის გარდასახადებისათვის, რომ ამისი კან-გარდასახადი თავი ესაა მიწითა და მტურით არის სავსე! მამ ამის თავდებები სხვა ნასყიდობაში არ უთავდებებენ, თუ არ ამ ერთ მტკაველ მიწაში? ამას სომ სიგქე-სიგანეზედ ორი ნასყიდობის წერილი გარჯად დაჭფარავს; მთელი ამისი ეტრატები ამოღენა უფთში ძლივს ჩაეტეოდან და თვით მიფლობელსაც მტეი ადვილი არ უნდა ეჭიროს?!

ჰორაციო.

ეგ არის ადამიანის ბოლო.

ჰამლეტი.

ეტრატს, მგონი, ცხვრის-კანისას აკეთებენ, არა?

ჰორაციო.

დიაღ, ბატონო, ცხვრის კანისასაც აკეთებენ და სხოს-კანისასაც.

ჰამლეტი.

ვინც კი მაგ ეტრატის საბუთებს ერწმუნება, ისიც ცხვარი და სხო უნდა იყოს. ერთი ამ კაცს გამოკვლავ-ზარაკები.—ვისი საფლავია ეგ, ჩემო მამო?

პირველი მესაფლავე.

ჩემო.

(მღერის.)

„თოხ-ნიხაბი, ბნელი ორმე,
„ფიცრის კუბო და სუდარა.“

ჰამლეტი.

რასაკვირველია, ვერ შენია, რაჲ შიგ გაწოლილხარ.

პირველი მესაფლავე.

შენ შიგ არა წვეხარ და არც შენია და მე თუმცა შიგ არა ვწვეხარ, მაინც ჩემია.

ჰამლეტი.

სტყუი, რომ შენია. საფლავი მკვდრისთვის არის და არა ცოცხლისთვის.

პირველი მესაფლავე.

ასლა, კითხვამ, დიდ ცოცხალ ტუფილში დამიჭირე, რომ გერე სწორები?! გინდა, შენი წერომა უგანვე დაგიბრუნო?

ჰამლეტი.

რა კაცისათვის სთხრა მაც საფლავს?

პირველი მესაფლავე.

ის კაცი არ არის.

ჰამლეტი.

მას დედაკაცია?

პირველი მესაფლავე.

არც დედაკაცია.

ჰამლეტი.

მას კისთვის სთხრა?

პირველი მესაფლავე.

ერთი ვისმისთვის, რომელიც—დმერთამა აკურთხოს ამისი სული—დედაკაცი იყო და ესლა კი მძოვრია.

ჰამლეტი.

ამ წუწეს რა თავისუფალი სიტყვა-პასუხი აქვს! უნდა რუგა ავიღოთ სულში და ისე ველანარაკოთ, თორემ კილოს-გამობით ღამის გადაგვრით. მართლაც და ჭრანცია, ესლა სულსი თითქო ისე გასატატდა, რომ გლეხებიც კი ცდილობენ თავადებს უგან აღარ ჩამოაჩენ და ოსუნჯობაში ღამის გააფასონ.—რა ხანია, რაც მესაფლავე ხარ?

პირველი მესაფლავე.

მოელი წელიწადი რომ გადათავალა, მე სწორედ ამ დღეს დავიწვე საფლავების თხრა, რა დღესაც ჩვენმა მეფე ჰამლეტმა ფორტიმბრასი დამარცხა.

ჰამლეტი.

რამდენი ხანი იქნება მას შემდეგ?

პირველი მესაფლავე.

შენ კი არ იცი? ვინ არის იმისთანა გამოყვენიუ-ლი რომ არ იცოდეს. ეგ სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ასლ-გაზდა ჰამლეტი დაიბადა,—აი ისა, რომ გაგიუდა და ინგლისს გაგზავნეს.

ჰამლეტი.

მართლა; რად გაგზავნეს მერე ინგლისს?

პირველი მესაფლავე.

იმაღ რომ ჭკუა აერია და იქ უნდა დაილაგოს. თუ პერ მოჭკვიანდა, იქ არც ამითი უჭირს რამე.

ჰამლეტი.

როგორ თუ არ უჭირს?

პირველი მესაფლავე.

ისე რომ იქ სივთეს ვერავინ შეამჩნევს, იქ ვეკლანი გიუები არიან.

ჰამლეტი.

მერე, რამ გააგიუა?

პირველი მესაფლავე.

ამბობენ გადაირიაო.

ჰამლეტი.

როგორ თუ გადაირია?

პირველი მესაფლავე.

ისე, ჭკუა დაჭკარგაო.

ჰამლეტი.

რასეუდ დაჭკარგა?

პირველი მესაფლავე.

რასეუდ და აი ამ მიწასეუდ.—მე ოცდაათი წელიწადია მესაფლავე გასლავარ,—ბიჭობიდანვე ვადგავარ ამ სელობასა.

ჰამლეტი.

ადამიანის გეამი რამდენი ხანი გასძლებს გაუსრწნელი მიწაში?

პირველი მესაფლავე.

თუ სიცოცხლეშივე არ გაიწრნა—ესეც სშირად მოსდება ხოლმე—რვა-ცხრა წელიწადი გასძლებს,—დაბალი ცხრას გასძლებს.

ჰამლეტი.

დაბალი სხეულებეუდ მეტი რით არის?

პირველი მესაფლავე.

იმას ტყავი ისე აჭეს გათელილი თავის სელობაში, რომ დიდხანობამდის წყალს არ შეუშეებს და რა განაწინის გაცის გვამს, ის შეჩვენებული წყალი რომ არ იყოს. აი ეს თავი, სწორედ ოცდასამი წელიწადია, რაც მიწაში სძვს.

ჰამლეტი.

ეგ ვისი იყო?

პირველი მესაფლავე.

ერთის სუფელი ტაკი-მისხარასი. როგორა გგონიათ, ვისი უნდა იყოს?

ჰამლეტი.

არცერთი სწორედ.

პირველი მესაფლავე.

დასწვევლას ღმერთმა იმისი ჩერხეტა თავი! ერთ-სელ მთელი ბოთლი რეინის ღვინო ზედ გადმოძასნა. ეს თავი იორიგის თავია, სელმწიფის სუძარასი.

ჰამლეტი.

(თავის-ქალას ხელში აიღებს.)

ესა?

პირველი მესაფლავე.

სწორედ ეგა.

ჰამლეტი.

საბრალო იორიკ! მე მასხოვს იგი, ჰორაციო. საკვირველი სუძარა და შენაიერი ამბების მოძებნი იყო. ათასჯერ მეტად უტარებოვარ თავის მხარზედ და ესლა როგორ მეზინებდა იმისი ნახვა. ღამის გული ეულში მომეზვინოს. აი აქ ჰქონდა ის ტუჩები, რომლისათვისაც, ვინ იცის, რამდენჯერ მიკოცნია. სად არის ესლა შენი მსარულევა, შენი სიტყვაჲ? შენი სიმღერა? ნაპერწკლები შენის ოსუნჯობისა, რაც ეველა მონადიმეთ აცინებდა, ახარხარებდა? რატომ ეს მანც არ შეგიძლიან, რომ სასაცილოდ შენი კბილების-გრეჯა აიგდო? სად არის შენი სავსე, მოცინარი ღოყები? წადი ესლა ამა და ამ ქალბატონის ოთახში და უთხარ, რომ თუნდ ერთი ადლის სისქე ფერუმარლი წაითხუნოს, იმის ბოლო მინც ეს არის. უთხარ ეს ამბავი და გააცინე. ჰორაციო, თუ გიყვარდეს, ერთი რამ მითხარ.

ჰორაციო.

მიბრძანეთ, რა გნებავთ,

ჰამლეტი.

როგორ გგონია, ვითომ დიდი ალექსანდრეც საფლავეში ამას ეგვანებოდა?

ჰორაციო.

უშკეულად.

ჰამლეტი.

და სუნიც ასეთი ეჭნებოდა? ფუჰ!

(თავის-ქალას ძირს დააგდებს.)

ჰორაციო.

სწორედ ეგეთი.

ჰამლეტი.

ოჰ, ჰორაციო, როგორ ადვილი ეოფილა ჩვენი გარდაცვლა უბრალო სასმარ ნივთად! რატომ არ შეიძლება, ვითომ, რომ გონებით მიუყვეთ და დიდი ალექსანდრეს ნაშთი ლუდის ჭურჭლის საცობში ვიპოვოთ?!

ჰორაციო.

გაი ძალი საბუთები დატვირდებოდათ მაგისტვის.

ჰამლეტი.

ეგ ისე მნელი არ არის, როგორც გგონია. არც გადაჭარბება დამტვირდება და არც დაუფერებელი საბუთების მიღვენა. აი იფიქრე: ალექსანდრე მოკვდა, ალექსანდრე დამარხეს, ალექსანდრე მტკრად იქცა. მტკერი და მიწა ერთი და იგივეა. მიწისას თისას აკეთებენ და რა არის აქ დაუფერებელი, რომ ალექსანდრეს მტკრისგან შექმნილ თისით ჭურჭელს პირი დაუტონ!

„თისხდ გარდაქცა კეისარი ეოვლად ძლიერი, და სასლთ სალესად სმარობენ მას, მას ქვეუნის მხარავს!“

„ის, ვის წინაშეც შიშით ძრწოდა ურიცხვი ერი, ამითარის სუხსისგან უბრალო ქოხს ესლა იფარავს.“

ჩუმად, ჩუმად, შორს მივდეთ. აქ სელმწიფე მოდის.

(შემოდის პროცესია. წინ პასტორები მოჰდგინან; მოაქვთ კუბო ოფელიასი; უან მოსდგენენ: ღაერტი, მოზარენი, ხელმწიფე, დედოფალი, ამაღა და სხვ.)

ოჰ, დედოფალიც... კარის-კაცნი... ნეტა ვის მარსვენ? მერე ესეთის მოკლე წესით. ეს იმას ნიშნავს, რომ მიცვალებულს თვით მოუკლავს თავისი თავი.

უშკეულად, დიდი-კაცი იქმნება ვინმე. იქით მივდეთ ჩვენ, ჰორაციო, და ყური გუგდოთ.

(უთხრეში დადგებიან.)

ლაერტი.

დაჩხა რამ წესი ასაგები?

ჰამლეტი.

აი ლაერტიც,

კეთილშობილი, სულ-მანალი, უმანკილი-გატი.

ლაერტი.

დაჩხა რამ მეთქი კიდეე წესი?

პირველი პასტორი.

ჩვენ შევასრულეთ ყოველივე, რის ნებაც გეძონდა. საეჭვო იყო მის სიკვდილი და კვლევისის წესი უმადლესს ბრძანებას რომ არ შეეცვალა, მორედ-მოსვლის დღემდე იგი წეს-აუგებლად სამარეს უნდა დებულყო. ღოცვის მაგივრად, უნდა აგვეესო მის საფლავი ქაბით, კანკებით; მაგრამ გვირგვინი უბიწობის წილად ვარგუსეთ, ყვაკილებითა მოკრთეთ იგი და ზართა რეკით ამ უგანასკნელ სადგურამდე გამოვაცილეთ.

ლაერტი.

მამ ყველაფერი შეასრულეთ?

პირველი პასტორი.

ყოველისფერი.

ჩვენ რომ მაგისტრის გვეკვლობა საგალობელი და უფლისაგან მოგვეთხოვა იგი მშვიდობა, რაიც კეთილად განტეკებულთ სულთ უნდა ერგოთ, — მიცვალებულთა წირვას მაგით შევაგინებდით.

ლაერტი.

კუბო სამარეს ჩასვენეთ. მაგის შენეერ, უმანკო სხეულს ზედ ამოვა ია და ვარდი. — შენ კი, მამაო, უღმობულო, მე ამას გეტყვი: ჩემი და ნეტართ ანგელთა დასში იქნება, შენი ხვედრი კი ჯოჯოხეთში კბილთა ღრჩენას.

ჰამლეტი.

რაო ეს რა სთქვა, ჩემი დაო! რა, რაფელი!

დედოფალი.

(ყვავილებს ახევის აუზზედ.)

მშვიდობით, ტკბილად რაფელიც, და ეს ყვავილინი

სიშენიერეს შენსას ერგოს შენეერ ხარკად. მე ვიმედობდი, რომ ჩემს ჰამლეტს შეგერთავდი ცოლად, შევამზადებდი საქარწილო შენსა საგებელს, ის კი არა თუ მოერთვა მერგო შენის სამარის.

ლაერტი.

რა, ათას-გვერდო მწუნსარება, თავზედ დაატყედი მრავალ ათასჯერ იმ წვეულს თავს, ვის ბოროტებად გონება შენი გამოვწინა, ჰკვავ შეგირფია. მიწას ნუ ჩაჭერთ, დამაცადეთ კიდეე ცოტას ხანს, რომ ერთხელ კიდეე დაწველულგულს მკერდზედ მივიკრა.

(ჩახტება საფლავში.)

გადმოგვყარეთ უხვად ესლა ცოცხალსაც, მკვდარსაც, კიდრე ამ ვაკე ადგილს მიწის მთად არ გარდაქმნით, რაიც ზემოდამ დაჭყურებდეს მალაღს შელიონს და თვით ზეცამდე აღმართულსა ლაჟვარდსა ოლიმპს.

ჰამლეტი.

(წინ წამოდგება.)

ვინ არის იგი, ვისიც სვედა ასე დადაღებს, ვისიც გოდება მიმომავალთ ვარსკვლავთ აძწუნებს და ერთ ადგილას აჩერებს; ვით შემერთალსა მგზავრსა? მე ვარ დანიის პრინცი, ჰამლეტი.

(საფლავში ჩახტება.)

ლაერტი.

რა მაგ შენს სულსა ტარტაროზების კერძად გავსდი. (შეეცაკება.)

ჰამლეტი.

იქით დადექი.

ღოცვა-გედრება არ გცოდნია. გაუშვი სული, ევლში ნუ მიტერ, თუმც არა ვარ ზვი და ცხარე, მაგრამ გირჩევ რომ მომერიდო, არ ამადლეყო. სული გაუშვი.

ხელმწიფე.

გამეგლეთ.

დედოფალი.

რა, ჰამლეტი, ჰამლეტი.

ყველანი.

როგორ კადრულობთ!

ჰორაციო.

ნუ ინებებთ, ბატონო ჩემო.

(კარის-კაცი გააშველებენ და საფლავიდან ამოიყვანენ.)

ჰამლეტი.

მე ამ საგნისთვის მზა ვარ ბრძოლად გავიხმო იგი, ვიდრე თვალთ ჩინი საუკუნოდ არ მომეშლება.

დედოფალი.

რას საგანს ამბობ, შვილო ჩემო, გამაკებინე.

ჰამლეტი.

მე ოფელიას მიეკარდა და ორმოც-ათას მძის ერთად მოგროვილთ ჩემსაკით გერ ეგებებოდნენ, — მითხარ შენ იმის გულისთვის რას მოიქმედებდი?

ხელმწიფე.

ლავრტ ეგ ჭკვიდამ შემცდარია.

დედოფალი.

გემუდარები,

ღვთის გულისთვის მოუთმინარ.

ჰამლეტი.

სა მჩვენე,

შენ რას იზამდი? იტირებდი? იმარსულებდი? იბრძოდი, ანუ გაიგლეჯდი გბილით შენს სხეულს? დალეკდი მთელსა მდინარესა, ჯოჯოკებს სჭამდი?... მეც მას ვიზამდი. თუ, მოსკუდი აქ საკალალოდ? და მის საფლავში ჩასტი ჩემის გამოჯვარებით? გინდა, ცოცხალი დამარსო? მეც შენთან ვარ. შენ კიდევ მთებზედ ღაზარაკობ და მეც ვაბუღს ვარ, ურიცხვნი ქედნი თავს დაგვატყდენ, ზე აღიმართონ, ვიდრე თვის წვერით მგზებარე მზეს არ მისწვდებიან, ვიდრემდე ოსისა ფეტვის მარცვლად არ გამოინდება. შენ ჭვიდრი, მაგრამ მეც შევიძლებ შენოდენ ყვირილს.

დედოფალი.

ეს ჭკვიდამ შეშლის ბრალი არის. სშირად სიგიჟე მოუგლის სოღმე ცოტა-სნობით, თუმცა მალე ჭჭრება და მასინ იგი მოთმინებით ემზავსება მტრედს, თვის ოქროს-ფერთიან ბარტუებისთვის გულ-შემატკივარს, და არის სოღმე მოღრუბლული, განუმებული.

ჰამლეტი.

მითხარი, ლავრტ, აგრე მტრულად რისთვის მუზყობი?

მე ხომ ყოველთვის მიეყარდი შენ, მაგრამ დაეკსნათ... დეე თვის ძალა ჭერეგულეს გამოინინოს, დეე კატამც იენავლოს და ძაღლმაც იეეფოს.

(გადის.)

ხელმწიფე.

გოსოკ, ჰორაციო, უგან გაჭეუე და ყურე უგლო.—

(ჰორაციო გადის. ლავრტს.)

გაიძლიერე მოთმინება წუხანდეღ სიტყვით და იმ განზრახვას სჯობს ამ ამბავს დაკამყარებდეთ.— გერტრუდაც, შენს შეიღს შენც ადენე ერთგულად თვალი.— ამ საფლავს, მგონი, დასჭირდება ცოცხალი მსსვერბლი... სჯობს მოთმინებით ვიმოქმედოთ, იმედი ვზარდოთ— მალე დადგება ჩვენთვისაც ხომ მშვიდობის წამი.

სურათი II

(დიდი დარბაზი)

(შემოდინ ჰორაციო და ჰამლეტი.)

ჰამლეტი.

გმარა ამავედ ღაზარაკი. ასლა სსვას გეტყვი. ხომ გასსოვს ყველა, რაც გაამბე?

ჰორაციო.

მასსოვს, ბატონო.

ჰამლეტი.

გამიტყდა ძილი, გულს მქენჯნიდა რაღაც ვარამი, სკედა მომაწვა მეტად მიმიე, თითქო სულ-ფუნში ბორკილი მქონდა მე გაყრილი ავაზაკისა. წამოვსტი ჩქარა... დაილოცოს იგი სიჩქარე... ეს უნდა გითხრა, ჰორაციო,— სშირად განზრახვა მოფიქრებული ყოველის მსრით უქმად ჩაკვილის და გვშეუღის მხოლოდ აჩქარებით საქმის დაჭერა. ეს მოანწავებს რომ განგება თვით აწყობს საქმეს, რა გზასაც უნდა ავირჩეუდეთ.

ჰორაციო.

ჭეშმარიტია.

ჰამლეტი.

მსწრაფლად ჩავიციე მე სამგზავრო ტანასამოსი, გამოკულ ჩემის ოთახიდან და სობნეღში სელის-ფათურით ძებნას მოკვეე, მივაგენ კიდევ იმთ საბუთებს, გტარე სული ჩუმად დაკარუნდი ჩემსავ ოთახში. დამავიწვა შიშმა ზრდილობა და უკრძალვლად უმთავრესი ქალადი გავსენ. ამოვიკითხე იმ ქალადში მე, ჰორაციო,

ამ უმცირესს მე ვას სიაყვანე. იქ ჩაწერა
 მკაცრი ბრძანება—ვითომ იმით გამოწვეული,
 რომ ეს ინგლისის და დანიის კეთილ-დღეობას
 მოუხდებოდა; ვითომ ჩემი სინჯისთვის იყო
 შიშის აღმძრავი საფრთხობელა მთელის ერისთვის—
 იგი ბრძანება: წაიკითხეთ რამწამს ამ ქალაქს,
 ნუღარ ადრეკობთ თვით ჯალათსაც ცულის გალესას
 და ჰამლეტს მუისვე თავი ტანით განაშორეთო.

ჰორაციო.

მაგას რას ბრძანებთ?

ჰამლეტი.

აი თვითონ იგი ბრძანება;
 როცა დრო გქონდეს, წაიკითხე. ახლა არ გინდა,
 ისიც გაიგო, მე რა ვქმენი.

ჰორაციო.

გთხოვთ, რომ მიბრძანოთ.

ჰამლეტი.

რაკი მათ სწავლათ ჩემი ასე მასეში გაბმა,
 გონება ჩემი სისწრაფითა შეუდგა საქმეს,
 ვიდრე ამ საქმეს გაკისრავდი, მოვიანებდი:
 დავჯექ, დავწერე სხვა ბრძანება საუკეთესოდ—
 მე უწინ თუმიცა, ვით დიდგვარებს აქვთ ჩვეულებად,
 სუფთად წერასა ვთავილობდი, ვნდობლობდი კიდევ
 გადავიწყებას, მაგრამ იმ დროს ეს სელონებს
 გამოვიყენე. რა დავწერე, გინდა, შეიტყო?

ჰორაციო.

დიად ბატონო.

ჰამლეტი.

დიდი თხოვნა თვით სულმწიფის მხრივ,
 თუ ერთგულება აქვსო ჩემი ინგლისთ სამეფოს,
 თუ სურს ზუსასავით სიყვარული ჰქვამდეს მუდამ
 ორ ქვეყნის შორის, მეგობრობა განმტკიცდებოდეს
 და მშვიდობას ედგას მუდამ თავთავთ გვირგვინი—
 კიდევ სხვაც იყო ამისთანა ფიცი, ვედრება—
 რამწამს ამ წერილს გადავიტახეთ, მუისვე მომტანნი
 მოაკვლევინეთ, ვითარების განუხილავად
 ისე სწრაფად, რომ არ ჰქონდეთო მონახების დროც.

ჰორაციო.

როგორ დაბეჭდეთ მერე იგი?

ჰამლეტი.

კიდევ კვ არის,
 რომ მაგასაც შემიწია თვითონ განკება:

მე ჩემ ქისაში მამიჩემის ბუკადი მეღო,
 რომლის ყალბობედ გააკეთეს მეფის ბუკადიც.
 ჩემი წერილი გადავკვეთე მორუსავით,
 შედ-წავწერე, დაბეჭდე და იქვე ჩავედე.
 ისე დავტყავო, რომ გერანის ეს ვერ შეიტყო.
 მორე დღეს სომ მეგობრებთან ბრძოლა მოგვიხდა
 და რაც შეგვეძინება, ყველა იგი შენ დაწვრილებით.

ჰორაციო.

მაშ როგუნგრანცს და გილდენსტრანსს კვ მისცა ბედმა?

ჰამლეტი.

მანც ისინი მაგვარ საქმეს სუნით ეძებდნენ
 და სინდისიც არა მტანჯავს იმათ გულისთვის,—
 მეტიწრასა დაბრალონ მათი დაღუპვა;
 საშიში არის როდესაც სუსტ-ბუნებანი
 ჩაუვარდება შუაში ორს მოპირდაპირეს,
 მოპირდაპირეს ძლიერს, მედგარს, ხმალ-ამოწვენილს.

ჰორაციო.

დამართო მალალო, რა სულმწიფის სულში ჩავცივადით!

ჰამლეტი.

ესლა სომ მანც ცხადი არის, რაც მევეს ვაღაღ:
 იგი, ვინც მოჰკლა მამიჩემი, გამოიყვანა დედა,
 ვინც გამოიტყუნა მე იმედი მეფედ აღჩვეის,
 ვინც მანქანებით სასიკვდილოდ მასე დამიგო,—
 ნუ თუ არ არის იგი ღირსი, რომ ამ მარჯვენით
 ესრედ დიადი ბოროტება გადაუხადო?
 განა გარგია, ამ იანამ ჩვენს ბუნებაში
 დაისადგუროს და სასარულ გესლად ტადგემძენს?!

ჰორაციო.

შეგველია აცნობებენ მალე ინგლისით,
 თუ ვით გათავდა მინდობილი მაგისგან საქმე.

ჰამლეტი.

ინგლისით მალე აცნობებენ, მაგრამ იმ დრომდე
 კიდევ მაქვს ვაღა: ვაცნო სინჯისთვის მალე ესპობა;
 ხშირად ამისთვის კმარა თვალის დახამხამება.
 მე ამას ვწუხვარ, ჰორაციო, რომ წელან ლაერტს
 თავ-დავიწყებით ვაწვენი, მას თანა-ვუგრძობობ,
 რადგან მის სვედრში სარკესავით ჩემს სვედრს ვხედავ-
 მე მსურს მოვიგო მისი გული და თუ გავცნარდი,
 ეს გაცნარება, დამერწმუნე, გამოიწვია
 მისგან სიტუებით მწუხარების დაფრადება.

მ ო თ ს რ ო ზ ა ნ ი

შ უ რ ის ძ ი ე ბ ა კ ო რ ს ი კ ა ნ ე ლ ის ძ ა ლ ის ა .

(მოხარობა გი დე მოპასუხისა)

სავერინის ქერივი სცხოვრებდა სოფელ ბონი-ფაჩიოში ერთად თავის შვილთან. სავერინიანთ სახლი აწოლილი იყო ერთს მალალს მთის წვეროზედ და ამაყად გადმოსცქეროდა ხელ-უხლებელს ტყეს და მის იქედ ფართოდ გაშლილს ზღვას.

ქერივი სავერინისა მარტოდ მარტო იყო, საზრდოს აძლევდა შვილი, ახალ-გაზდა ანტონიო და სახლს. უღარაჯებდა ერთი უშველებელი გამხდარი ძაღლი, სახელად „მურა“. ახალ-გაზდა ანტონიო და „მურა“ ხშირად დადიოდნენ სანადიროდ.

ერთხელ ანტონიოს და მის ამხანაგს ნიკოლოზ რაეოლატის ჩხუბი მოუვიდათ და ამ უკანასკნელმა მტრულად, მოპარვით მოკლა ახალ-გაზდა ანტონიო სავერინი და ამის შემდეგ მახლობელ კუნძულზე სარდინიაში გაიქცა.

როდესაც საბრალო დედამ დაინახა თავისი შვილი, რომელიც გამეღვლეებმა მიუტანეს, დედას ტირილი და ქვითინი არ დაუწყევია, ის მხოლოდ გაშტერებით შეჰყურებდა. შვილის უწყალოდ გააბობილს მკერდს და თითქმის არ გრძნობდა რა უბედურობა მოსულა მის თავზე. დიდ ხანს იყო ამ მდგომარეობაში საბრალო დედა, ბოლოს აიპყრო თვალები ზეცისაკენ და აღთქმა მისცა მკვდარს შვილს, რომ შური ეძია. დედამ მადლობა გადაუხადა შვილის მომტანთ, აიღო შვილის ცხედარი, შეიტანა თავის ოთახში, დაჰკეტა კარები და გულ-გასაგმირაფი ქვითინი მორთო „მურამაც“ საშინელი ღმუილი დაიწყო. საზარელი იყო ეს სურათი.

ანტონიო პირველის შეხედვით მიძინებულს ჰგვანდა, ხოლო სისხლით გასერილი და ზედ ტანზედ მიკრული პერანგი აშკარად ამტკიცებდნენ, რომ იგი ამიერიდან არ ითვლებოდა ამ სოფლის მცხოვრებად. დედამ მოთქმა დაიწყო. ძაღლი გაჩუმდა.

— ოჰ! ჩემო შვილო, ჩემო პატარავ, მე გადაუფხი შენს მკვლელს, მე დავამშვიდებ შენს სულს, შენ ფიქრი ნუ გაქვს ჩემო ბავშვო, შენ მშვიდობიანად დაიძინე, მე კი შურს ვეძიებ, ვეძიებ, თუნდაც თვით ჯოჯოხეთმაც წინამდღეობა გამიწიოს... შენ ფიქრი ნუ გაქვს ჩემო პატარავ, ჯავრს მე, მოვიყრი შენს მკვლელზე.

ძაღლმა კი ისევ საზარელს ღმუილს მიჰყო, — დე და ტიროდა და ამ რიგათ გაათენეს ორივემ მთელი ღამე. მეორე დღეს დედამ და ერთგულმა ძაღლმა დამარხეს თავისი მანუფეშებელი ანტონიო და რამდენიმე ხნის შემდეგ ანტონიოს მკვლელობა ყველას დაეწყებულა ჰქონდათ.

ანტონიოს შემდეგ საბრალო დედას არაფერ დაჩვენია, არც შვილი, არც შორეული ნათესაეი და ამიტომ შურის ძიება მარტო თვითონ უნდა ეკისრნა. თეთრი კუნძული ზღვის მეორე ნაპირზედ ყოველთვის თვალ წინ ელანდებოდა საბრალო დედას. ანტონიოს მკვლეელი სცხოვრებდა სოფელ ლონგოსარდოში, სადაც განსაკუთრებით იმალებოდნენ ყველა ავაზაკები და კაცის მკვლელები, მხოლოდ ამ ჯურის ხალხით იყო დასახლებული ეს სოფელი. აქვე, როგორც წინეთ ვსთქვით, იყო დამალული ნიკოლოზ რაეოლატი.

მარტოდ მარტო დაობლებული ანტონიოს დედა ყოველ ცის-მარი დღე იჯდა პატარა ფანჯარასთან და შეჰყურებდა ხსენებულს სოფელს და თან შურის ძიებაზე ჰფიქრობდა. დედამ შეჰფიცა შვილის ცხედარს შურის ძიება და უნდა აასრულოს კიდევ. დიან უნდა აასრულოს— მოსვენება დაეკარგა, დღისით სულ იმაზე ჰფიქრობდა, ღამეებით არ იძინებდა, მხოლოდ ერთის ფიქრით, ერთის სურვილით გამსქვალული იყო მისი გონება; არც „მურა“ იყო დამშვიდებული. მის აქეთ, რაც პატრონი მოუტყვის მურა ყოველთვის შინ არის და საზარლად შეკვამუის ხოლკე. როგორც დედის გონებაში, ეგრეთვე ძაღლის გონებაშიაც მხოლოდ ერთი და წადლი ტრიალებდა— შურის ძიება.

და აი ერთხელ საღამოს, სწორედ იმ დროს როდესაც „მურა“ ჩვეულებრივად აცხადებდა თავის მწუხარებას, ანტონიოს დედას თავში მოუვიდა ერთი საშინელი აზრი, საზარელი განზრახვა, შემადრწუნებელი შურის-ძიება. იგი დიდ ხანს ჰფიქრობდა, მთელი ღამე არ დაუძინია და გათენდა თუ არა მაშინათვე გასწია ეკლესიაში; აქ მხურვალედ ლოცულობდა და ევედრებოდა ღმერთს, რომ ძალა მიეცა მისთვის— განზრახვას აღსრულებისათვის, შურის ძიებისათვის.

ამის შემდეგ დედა შინ დაბრუნდა აიღო ერთი ძირ გამოვარდნილი ბოჭკა მაგრად ჩაარქო დედა-მიწაში, პალოებით დაამაგრა, ზედ მიაბა „მურა“ და თვითონ სახლში შევიდა. იგი დიდ ხანს დადოდა

თავის ოთახში და რაღაც გაშმაგებით შეჰყურებდა იმ მხარეს, სადაც იმყოფებოდა მისი შვილის მკვლელი, ნიკოლოზ რაველატი.

მურა კი მთელს დღე და ღამეს საცოდავად ღმუროდა. მეორე დღით ღვამ წყალი მიუტანა, მაგრამ საკმელად არაფერი მიუტია, არც ძვალი გადაუღდო. გავიდა კიდევ ერთი დღე. ძაღლს არაფერი ეჭამა. მესამე დღეს მურას თვალები ჩასისხლებოდა, ბალანი აბურძმენოდა და გაშმაგებით ცდილობდა თოკის გავლევას, მაგრამ ვერ მოეხერხებინა და ეს უფრო აბრაზებდა. მოხუცებულმა ქალმა კიდევ არაფერი არ აჭამა! ძაღლი თითქმის გაგიჟებული იყო. ასე გაიარა მთელი დღე და ღამე.

მეექვსე დღეს ღვამ მონახა ერთი ძნა თივა, მოსძებნა თავის ქმრის ძველი ტანისამოსი-ძონძი, გატენა თივით ამართა მალაღს ჯოხზე, თიხისაგან თავი გაუყევთა, ასე რომ შორიდამ კაცს ემსგავსებოდა. მერე აიღო და „მურას“ წინ მიწაში. დარტოა ძაღლი გამტერებული თვალთუყურებდა თავის პატრონს და ღმუილსაც თავი დაანება, თუმცა შიმშილი საშინლად სტანჯავდა. ამის შემდეგ ბებერმა ქალმა გასწია ქალაქში, აქ აღვიდა ერთი გრძელი, წითელი ძხვი და ისევ უკან დაბრუნდა. ანთო ცეცხლი და ძხვის მოხრავკას შეუღდა; „მურა“ სრულებით გააგჟა ძხვის სუნმა და პირ დადარბლებული, თვალ გამხეცებული, იგი საზარელის ხმით, ღრნით და ღმუილით ახმაურებდა მთელს არე-მარეს.

შეწვა, თუ არა ქალმა ძხვი წამოღდა და შემწვარი ძხვი კისერზედ მაგრად მოახვია „გაკეთებულს“ კაცს და როდესაც ყველაფერი მზად იყო, მაშინ ღვამ ძაღლიც აუწვა. როგორც ტყვია ისე მივარდა მურა „კაცს“ და გაშმაგებით დაუწყო ყელის გლეჯა. „კაციც“ და ძაღლიც ორნივე ძირს წაიქცნენ და აქ მომეტებული გაშმაგებით და იშტით დაუწყო „მურამ“ ძხვის ყლაპვა—რამდენიმე წუთის განმავლობაში „კაცის“ კისერისაგან არაფერი იყო დარჩენილი.

ბებერი ქალი კი ჩუმად, რაღაც სიამოვნებით უყურებდა ამ სურათს, მერე წელა მივიდა ძაღლთან და ისევ მიაბა თავის ადგილას. ძაღლი სამი დღეს უჭმელი დარჩა, მეოთხე დღეს ხელ ახლად გამართა ქალმა თავისი უცნაური სადილი ძაღლისათვის და ძაღლი უწინდებურადვე გაშმაგებით დაეცა საჭმელს—„კაცის“ კისერს.

მთელი ექვსი თვის განმავლობაში ზრდიდა ქალი თავის მურას ზემოყვანილის საშუალობით. ძაღ-

ლი თითქმის შეიჩვია და კბილებით ჩხილებით საზრდოს მოეწინას. ბოლოს ქალმა ძაღლი სრულებით აუწვა და ხელის გაქნევით მიუსხვდა ხოლმე გაკეთებულს „კაცს“—და ამ რიგათ ისე გაწურთენა ძაღლი, რომ როდესაც „კაცს“ ყელზედ ძხვიც არ ჰქონდა, მაშინაც კი მივარდებოდა ხოლმე „კაცს“ დასაგლეჯავათ, თუ კი პატრონი უბრძანებდა. ხშირად უბრძანებდა მურას ანტონიოს დედა:—„გასწი“! და ძაღლი შურდილივით ეცემოდა „კაცს“ ყელში.

როდესაც საეკრინის ქერივი დარწმუნდა, რომ შურის ძიების წამი მოახლოვებულია, წაიდა ეკლესიაში, ბევრი ილოცა, მიიღო შენდობა მღვდლისაგან, ჩაცვა ვაჟ-კაცური ტანისამოსი, რომელიც სრულებით დაფლეთილი იყო, ასე რომ ნამდვილს მათხოვარას, დატაკა ჰგვანდა, ზედ წამოიკიდა ხურჯინი, გაურიგდა მენავეს მეორე ნაპირზედ გადაყვანას, გაიყოლია თავისი „მურა“ და გაემგზავრა სოფელ ლანგოსაზრდოში. ძაღლს აგერ ხუთი დღე იყო რაც არაფერი ეჭამა; ქალს კი ხურჯინში ახლად შემწვარი ძხვი ჰქონდა და ამ ძხვის სუნი უფრო აანჩნებდა, უფრო მადას უღვიძებდა საცოდავ მურას. საეკრინის ქერივი ნელ-ნელა მიდიოდა ქუჩებში და რაღაც შიშით გაიყურებოდა აქეთ და იქით. ეილაც გამვლელს ჰკითხა: ნიკოლოზ რაველატი სადა სდგასო... გამვლელმა მიუთითა ერთს სამჭედლოზე. რაველატი ჩვეულებრივად მოუშაობდა და არხვინად ატარებდა დროებას. ანტონიოს დედა შევიდა კარში და დაიძახა: რეველატი აქ ხომ არა სდგას? ნიკოლოზ რაველატი მიბრუ და, სწორედ ამ დროს ღვამ მიუწვა მურა და უბრძანა:—აბა, გასწი შესქამე, შესქამე!!

გაშმაგებული ძაღლი ერთს თვალის განხამებამდინ ეცა ყელში რაველატს და ორივე ძაღლი და კაცი ძირს წაიქცნენ. რამდენიმე წუთის განმავლობაში რაველატი იკლავებოდა და ცდილობდა თავი დაეხწია, ხელებს იპოტირებდა, ფეხებს ატყაპაუნებდა, მაგრამ ყოველივე ამოდ იყო; მურა გაშმაგებით ჰგლეჯდა მის გულ-მკერდს, მის სახეს, როგვალატიმ სული დალია, მაგრამ ძაღლი მაინც არეშებოდა, სულ ჰგლეჯდა და ჰგლეჯდა....

ორმა თუ სამმა კაცმა დანახეს, როგორ გამოვიდა რაველატის სამჭედლოდამ ეილაც მოთხოვნა და მას უკან გამოჰყვა შავი გამხდარი ძაღლი, რომელიც სისხლში გასერილი იყო.

სადამოს ანტონიოს დედა შინ დაბრუნდა.. იმ
ლამეს დედას მშვიდობიანად და ტუბილად ეძინა.
ციკლოზი.

სომხური თეატრი

წარსულს ორშაბათს სომხურ დრამ. დასმა წარ-
მოადგინა ოთხ მოქმედებიანი კომედია „ქსლანდელი
საყვარული“.

უმთავრეს როლებს ასრულებდნენ ბ-ნი ჩიმიშქი-
ანი ლენერაღის როლს და მირალიანი სტოლონაჩი-
ლნიკის როლს. ორივე მოთამაშემ ხელმოწერულად შეას-
რულეს თავიანთი როლები, მეტადრე კარგათ
თამაშობდა მირალიანი, თუმცა ალაგ-ალაგ სიმა-
რთლეს შორდებოდა, მაგალითად სცენა შერლოთან.
კარგათ შეასრულა თავისი როლი ქ-ნ ზაბელამ, მე-
ტად ხელმოწერულად შეასრულა მსახურის პატარა რო-
ლი ბ. აბელიანმა. ამ ახალ-გაზდა არტისტს ნიჭი აშ-
კარად ეტყობა და, თუ თავის როლებში გამოუშვებს,
იმედია რომ ბ-ნი აბელიანი ერთ სასარგებლო არ-
ტისტად შეიქმნება სომხურ დრამატულ დასისა
თვის.

მოსწრებული სიტყვა.

გურულს ქართლში ჩასვლა მოუხდა. ერთხელ სო-
ფლად მიმავლმა შესება, რომ ვიღაც კაცი მიწიდან ძვრ-
ბა. გურული გაოცდა, დააკვირდა ადგილს და შენიშნა
მიწიდან კვამლიც ამოდიოდა და ხმაურობაც ისმოდა. გა-
კვირებულს გურულს არც მოჰგონებია თუ შეიძლებოდა
მიწაში სასლის გაკეთება და ოჯახობით ცხოვრება, და
ჟურ მაკსაღმა და შერე დაკეთის მისი ჩაჭერი ტანისა-
მოსით არა მასზე ნაკლებ გაოცებულს, მიწური სასლი-
დამ ამოსულს ქართლელ გლეხს:

— გამაჩვენებ შენი ძამიავ! რა ამავია საქიანს?
ზაბუა-ჩემი რას შერება? ჩემი დეამთილი რაგორაა?

სურგეა მესს და ბ. უ—ს საუბარი ჰქონდა ქარ-
თულ სინონიმებს. სურგემ სვავთა მრავალთა მაგალი-
თთა შორის მოიყვანა სიტყვა „კასი“ და დაკეთის:
თქვენში სომ არ იტან ეს სიტყვაო.

— ვაჰ, არც მე ვიტყვი აქამდე. „კასი“ ვითომ
და რა შეილი სიტყვა, „გოგრა“ უნდა, გოგრა!

— არა, ბ. „კასი“ უკეთესია; გოგრა სომ თავ-
სა ჰქვია:

— ჩვენში, იოსუნჯა დაბაისულმა ბ. კასის ჰქვია,
და თქვენში—თავსა!

— აგრეთ არის, მაგრამ ახლა ეს მითხარი ბ., სი-
სწრათით მიაყოლა სურგემ—ჩვენი კვახი სვავთან თუ
თქვენი გოგრა?!

ჩ.

«თ მ ბ რ ი» უმსბ.

ახალ-სენაკში ბ—ნს... ოტინას... თქვენი ორი ლექს-
სი მივიღო; დასაბუჯდათ გამოდგებიან, ხოლო უფოდ უნდა
შეგვატყობინოთ თქვენი სახელი და გვარი, წინამდღევ შემო-
ხვევაში ლექსებს ვერ დაბუჯდავო. „თეატრის“ პირველ გვე-
რდზე ავტორთა წერილების შესახებ, გვონებთ, ვრცლად და გ-
საგებად არის მოხსენებული...

ბ—ნს დ. ბას.—შეიღს. თქვენი წერილი ვერ დაი-
ბუჯდება.

პარიზი ბ — ნს ბ. ეთიფანს. თქვენი ზოგიერთი წერილები
ვერ დაბუჯდება... დიდად დაგვაგალებთ თუ პატარა მოთხო-
ბებს გამოგვიგზავნით.

ბ—ნს ტ—შეიღს თქვენი ლექსები დასაბუჯდათ ვერ
გამოდგება.

ბ — ს ჩ — კ — ს. მოთმინება იქონიეთ, მოთმინება!...

ბ — ნს რ. თქვენი წერილი მეტად პირადი მიმართულ ე
ბისა და ამიტომ არ ვბუჯდავო.

ბ — ნს სოფლის მასწავლებელს. ჩვენ დიდათ ვწუხ-
ვართ, რომ პედერელის გაგრძელების ბუჯდავს, ვერ ვახერხებთ...

ქეთანიში. ქუთათურს „კამლეტი“ მღვე გამოვა
ცალკე წიგნად და მაშინ გირჩევთ შეიძინოთ, თორემ ესლა ზო-
გიერთი ნუმრები არა გვაქვს.

ქ — ბ — ს ანსტანას თ — დ — რ — მისას გამოდლობთ
გამოგზავნილისათვის, ყველაფერი დაბუჯდილი იქნება.

სტანცია სეფსაში, თეოდ. თავ — მესას. მივიღეთ
თქვენი წერილები. დიდს მადლობას მოგახსენებთ; თავის დროზე
დაბუჯდილი იქნება. იმედი გვაქვს შემდეგისათვის არ დაგვი-
ვიწყებთ.

რედაქტორ-გამომცემელი ვ. აბაშიძე.

გ ა ნ ც ხ ა ლ ე ბ ა ნ ი

ღელა-ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, მისთვის გამოცემა, შეცვლილი და შევსებული, დაიბეჭდა და ისე იდება გამოცემელის გრიქურთვის მადანაში. ამ ანბანის გამოცემის ანბანი თითქმის ხელ-ანლად არის შედგენილი და მასში ჩამატებულია საწერი დედანი, პირველ ხანში სახმარებელი. პირველი საკითხავი წიგნი შევსებულია ანბანი-სავარჯიშოებით, მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით, გარდა ამისა შეცვლილია რედაქციის ზოგიერთა წინანდელი მოთხრობისა და ლექსებისა. წიგნის მეორე—სადმართო ნაწილი იპყრობს პირველის წლის კურსსა ორივე აღთქმას მოთხრობისას, სურათებ ს. სადმართო მოთხრობები თავდება წმიდა ნინოს ცხოვრების და მოქმედების მოკლე აღწერით, რომელიც სურათით არის შემკობილი. წიგნი წინანდელს გამოცემაზე ერთი თაბანი, იუნ 32 კვერდით, დიდი, მაგრამ ფასი კი შეუცვლელად ერის დარჩენილი. გამომცემელი გრიქურთვის მადანა იყოფება კუპიის ხიდის ყურთან, ბადის პირ-და-პირ. (5—5)

ბეჭდება და სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოვა,—

„ქართული წერის დედანი“

გ. გაბიჩაძისა.

(გამოცემა ი. მურადოვისა)

წერის დედანს შეადგენს: 1 მსხვილი გადაუმედი სელი ბადეში თავის ელემენტებით; 2 დანატარაკებული საშუალო მერგალი სელი უბადოდ ოთხს საზში; 3, გადამული სწორედ (აღმაცურად) ნაწერი ნუსხური სელი სამს საზში და 4 გადანრილი (наклонный) გაკრული ნუსხური სელი ბადეში—ჟერ გადაუმედად და შემდეგ სამს საზში გადამით.—დედანს აქვს სულ 24 გვერდი. დედანის ფასი—30 კაპ. ვინც ოცდაათს ანუ მეტს იყიდის ეტყემს. დაეთობა 24 კაპ. (3—3)

ქალს, რომელსაც აქვს შესრულებული სწავლა ჰეტერბურლის ინსტიტუტში, წმიდის ეკატერინისა, ჰსურს იუოლიოს შავირდები, ასწავლოს ან გაამოაზრებინოს ეოველს საგანსე, ანუ ენებზე: ფრანციცულსა და ნემეცურსე.—იკითხეთ: მისაილოვის ქუჩაში, სახლი № 82, ერისთვისას.

ჩვეულებრივ წინა წლებისა ამ მომავალი მოგების 1 სექტემბრის 5,00 სახელმწიფო მოგებანი შეიძლება შესყიდული იქმნენ დრო გამოშვებითი ფულის შეტანით 31 აგვისტომდე. ბილეთების ნუმრებს ტელეგრაფებით შევატყობინებთ. ბილეთების შეიძველებს ქმუძლიანთ, თუ მათი სურვილიც იქნება, ჩაეწერონ თუნდაც მარტო სექტემბრის მოგებაში. ბილეთების დაწვევა ღირს 45 კაპ. გარეთ მცხოვრებლებს 17 მანეთის გამოგზავნის შემდეგ დაუოვანებლად გაეგზავნებათ მოწმობა ბალეთების სერიის №-ითა. თხოვნა შეუძლიანთ მოგვმართონ, აგენტს ბანკის ფირმისას „კენრის ბლაკი“ ბ-ნს შ. მალიშკეს ქალ. თბილისში, გოლოვინის პროსპექტი, ჰაპროოსის მადანა „იკერიაში“ დილის 9 საათიდან 1 საათამდე და სადამოს 5 საათ. 8 საათამდე.

ვასწავლი ფრანგულს ენას ქართულის საშუალებით. საკლასო რეპეტიციონებსაც ავიღებ. ჰეტრე მირიანაშვილი ადრესი „თეატრის“ რედაქციონში.